20-26 ოქტომბერი 2019

# ტყვიით მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირეული

## აკრძალე ტყვია საღებავებში

იცოდე რისკების შესახებ

შემოუერთდი აქტივობებს

მოახდინე საღებავებში ტყვიის აღმოფხვრა

www.who.int/lead_campaign/en/
#ILPPW2019 #BanLeadPaint

# „უარი ვთქვათ ტყვიის შემცველ საღებავებზე“

ტყვია მეტალია, რომელიც შხამავს ადამიანს და სერიოზულ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. ტყვია განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისა და მოზარდებისათვის. იწვევს ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას, ინტელექტის დაქვეითებას, ჰიპერაქტიურობას და ქცევით დარღვევებს. ტყვიის შემცველი მტვერი ბავშვის ორგანიზმში ხვდება ძველი შენობების და ავეჯის ზედაპირიდან, ტყვიის შემცველი საღებავებით შეღებილი სათამაშოების ღეჭვისას, შეღებილი საწოლების მოაჯირების პირით შეხებისას, საღებავის მტვრის შესუნთქვისას და ა.შ. ტყვიით მოშხამულ ბავშვთა უმრავლესობას სიმპტომები არ აღენიშნება.

## რა უნდა გააკეთოს მშობელმა ტყვიით მოშხამვისგან ბავშვის დასაცავად?

- აუცილებელია ოთახების სველი წესით დალაგება, სულ მცირე, კვირაში ერთხელ;
- მიზანშეწონილია ბავშვის სათამაშოების ხშირი რეცხვა;
- მიაჩვიეთ ბავშვი ხელის დაბანას სახლში შემოსვლისთანავე;
- არასასურველია ბავშვებისთვის მეტალის ფურცლებში შეფუთული საკვების მიცემა;
- აუცილებელია ბავშვმა მიიღოს რკინით, კალციუმით და ცილებით მდიდარი საკვები, რადგან ისინი ზრდიან ორგანიზმის გამძლეობას ტყვიით ინტოქსიკაციისადმი;
- არასასურველია ბავშვისთვის ზედმეტად ცხიმიანი საკვები, რადგან ცხიმი ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელ სისტემაში ტყვიის დიდი ხნით შეჩერებას;
- სასურველია ბავშვს, განსაკუთრებით ინდუსტრიულ რაიონებსა და დიდ ქალაქებში მცხოვრებლებს, პერიოდულად ჩაუტარდეს კვლევა სისხლში ტყვიის შემცველობაზე;
- დედის ორგანიზმში ტყვიის მომატებული შემცველობა გავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე, ამიტომ, სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად აუცილებელია დედის გამოკვლევა;
- ფეხმძიმობისას დაუშვებელია მუშაობა ისეთ საწარმოში, სადაც ტყვიით მოშხამვის მაღალი რისკია;
- არასასურველია ფეხით სიარული ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებში.

NCDC